

ისეთა სახელმწიფოშიც, რომლებიც ამ წესს
არ ემორჩილებიან. მაგრამ ესენია გამონაკ
ლისი და გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც
საერთო წესს ადასტურებს.

სახელმწიფოთა ცხრა მეთედში ერთნოვა
ნი ოფიციალური სისტემია, ეს უწევებს არა
მარტო იმას, რომ, შესაძლებელია, ამ სისტე
მის ბატონობით იზარებოდეს ესა თუ ის
ეროვნული უმცირესობა, არამედ ეს უწევებს
აგრედვე სახელმწიფოებრივ ავტონომიას
და საქართვებს. სხვა რომ არა იყოს რა სა
ხელმწიფოში ერთენიანობა პრაქტიკულ მი
ზანშეწონილებასაც წარმოადგენს.

მაგრამ დღევანდელმა პოლიტიკურმა ისტო
რიამ იცის ორენოვანი და სამეზობელი სახელ
მწიფოები, თუცა მათი რიცხვი ძალიან მცირეა,
შვეიცარია წარმოადგენს ამ მხრივ საგულბნმი
ერო მაგალითს. იქ, კონფედერაციაში, სამი სა
ხელმწიფო, სამი ნაციონალური და ოფიცია
ლური ენაა (კონტრაქტის 118 მუხლი): გერმა
ნული, ფრანგული და იტალიური. ძალიან
განწყობილება ეროვნებათა და კანტონთა შო
რის ისეთია შვეიცარიაში, რომ კონსტიტუ
ცია აღიარებს სამივე ენის უფლებრივ თანა
წორობას მთელ სახელმწიფოში. ცხადია ამ
ენების პრაქტიკული, რეალური მნიშვნელობა
სხვა და სხვაა. ყველაზე უძლიერესი ამ მხრით
გერმანული ენაა. ამ ენაზე ლაპარაკობს კან
ტონთა დიდი უმეტესობა, შემდეგ მიდის რი
გით ფრანგული, რომელიც გამატონებულია
სამ კანტონში. იტალიურ ენაზე მხოლოდ
ერთი კანტონის ლაპარაკობს. მიუხედავად
ამისა მათი უფლებრივი მდგომარეობა თანას
წორობა: სამივე ენა ოფიციალურია, სამივე
ენა სახელმწიფოებრივია. სამივე ენა, ასე ვთქვათ,
კონფედერალურია.

არის კიდევ ერთი ენა, გამატონებული
ერთს კანტონში, რომელიც დიდი ხანა იზარ
ბვის, რომ მეოთხე კონფედერალურ ენად გა
ხდეს. ეს არის გრიზონის კანტონის ბალხის
ენა—რომანული ანუ რომანში. მაგრამ ბრძო
ლის მიხანა უკვე მიუღწეველია, არც არის
აშკარა რომ შვეიცარიაში მეოთხე ოფიცია
ლური ენა შეივლიდეს.

3. საყვარელიძე.

(შემდეგი იქნება).